ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4253246

ნომერი: AR1640900

თარიღი : 02.11.2018

გაცემის თარიღი : 07.11.2018

გაცნობის თარიღი : 07.11.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ მაისურაძე პ/ნ 01025003884
- თბილისი დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 2 ბ. 45

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ამავე ფართის ფასადზე სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფოტომონტაჟის საფუძველზე ქ.თბილისში, სექტორი საბურთალო, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 18–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 009/045) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, მოქ.იოსებ მაისურაძის კუთვნილი ფართის ფასადზე 27.07.2018წ №4091607გადაწყვეტილებით გაიცა შესაბამისი თანხმობა ფასადზე აივნის გადახურვის მიზნით საჩრდილობლების მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე შესაბამისი უფლება .

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად 27.07.2018წ №4091607გადაწყვეტილებით შეთანხმებული ვარიანტით შემოთავაზებული ვერსიის ცვლილება და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენს მიერ შემოთავაზებული განახლებული ვერსიით ცვლილების განხორციელება , შესაბამისად 27.07.2018წ №4091607გადაწყვეტილებით შეთანხმებული ვერსია რჩება უცვლელი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.